მედპერსონალი არ უნდა ისჯებოდეს სხვათა შეუსრულებელი ვალდებულებების გამო

შოთა გოგიბერიძის ინიციატივით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო წერილობით თხოვნას უგზავნის „მედალფას“ დამფუძნებელს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 დეკემბრის სხდომის დასასრულს დეპუტატმა შოთა გოგიბერიძემ განცხადება გააკეთა „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში შექმნილი უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

როგორც გოგიბერიძემ აღნიშნა, დაუშვებელია თვალის დახუჭვა იმაზე, რაც ჩვენს რეგიონში, ჩვენს რაიონში ხდება, როცა ჩვენს ამომრჩეველსა თუ ამომრჩეველთა ჯგუფს სერიოზული პრობლემა ექმნება. შეიძლება ჩვენი კომპეტენცია არ იყოს ყველა ის საკითხი, რასაც განვიხილავთ და რაზეც ახლა ვსაუბრობთ, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს უფლება, პოზიცია ჩამოვაყალიბოთ ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე:

„ჩვენს სამედიცინო ფლაგმანში, ჩვენს სამედიცინო ცენტრში შექმნილ უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაზე მოგახსენებთ. დეკემბრის 14 გახლავთ დღეს. ეს ხალხი, ჩვენი სასიქადულო ექიმები, ექთნები, სანიტრები, რომლებიც დღე და ღამეს ათენებენ, არც თუ საუკეთესო პირობებში, რთულ გარემოში, არც თუ მთლად სამართლიანი შრომითი ხელშეკრულებების ფონზე, ერთგულად ემსახურებიან ყველა ჩვენგანის ჯანმრთელობას და მათ დღეს, 14 დეკემბერს ოქტომბრის ხელფასიც არ აქვთ სრულად მიღებული. ამ ადამიანებს შეექმნათ მძიმე ყოფითი პრობლემებიც კი. ესაა ხალხი, რომელსაც საბანკო ვალდებულებები და ყველა უამრავი სხვა საფინანსო ვალდებულება აქვს აღებული და ასეთი დაგვიანება, ექიმების შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება არ მიგვაჩნია სამართლიანად. ეს არის ლეიბორისტული პარტიის ინიციატივა, ეს არის ჩემი ინიციატივა, პირადად, ნებისმიერი მოქალაქეს შეეძლო ეს განცხადება გაეკეთებინა.

ეს პრობლემები, მედიაში გაჟღერდა. გაფიცვის მცდელობაც კი ჰქონდათ ექიმებს და, როგორც ამბობენ, საყოველთაო დაზღვევის მიერ ცოტა დაგვიანებით თანხების გადარიცხვის პრობლემამ შექმნა ეს. დაჯარიმებულიაო, მეხმიანებიან დარბაზიდან. დაჯარიმების მექანიზმები – ეს კიდევ სხვა მექანიზმებია. დაჯარიმება იქნება ეს თუ საყოველთაო დაზღვევის თანხების გვიან ჩარიცხვა, არც ერთი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთი თემა გავაჟღეროთ: როდესაც ადამიანი მასზე დაკისრებულ ფუნქციასა და მოვალეობას კარგად და

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 50 (10244) 18 დეკემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

გურიის გზებს მსოფლიო ბანკი 50 მილიონი ლარით დააფინანსებს

ალიონი. ოზურგეთში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მათ შორის განსაკუთრებით დიდი მოცულობისაა ურეკის წყალმომარაგების და საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, რომლის ღირებულება 80 მილიონ ლარს აღწევს.

ასევე მნიშვნელოვანია მერიალაითური-ცეცხლაურის გზის მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს აჭარა-გურიის ცენტრალური მაგისტრალების განტვირთვას.

აღნიშნულ გზას „გზამშენი 18“ აშენებს.

–პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარია. ჩვენი ქვემოთ ჯარე კომპანია „ზიმოა“, რომელმაც ლაითური-ცეცხლაურის საზღვარზე მდ. ჩოლოქზე 34 მეტრი სიგრძის ხიდი აგო, რაზედაც 1,7 მილიონი ლარი დიხარჯა. გზის სიგანე 7 მეტრია და მასზე დიდი გაბარიტის ტრანსპორტის გავლაა შესაძლებელი. მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება,– გვითხრა შპს „გზამშენი-18“-ის უფროსმა **თემურ ჯაჯვამ.**

აღნიშნული გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ, გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ნახეს.

„გზამშენი 18“ წითელმთა-მაკვანეთის 2,3 კმ სიგრძის გზასაც აშენებს. ამ პროექტზე 1,2 მილიონი ლარი დიხარჯება. მშენებლობა კ 2018 წლის მაისში დასრულდება.

წინა კვირაში, ოზურგეთში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები იყვნენ და თემურ ჯაჯვასაც შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ისინი გურიის გზების მოვლა-პატრონობაზე 50 მილიონ ლარს გამოყოფენ ისინი უპირველესად საჯავახო-ქობულეთის, ურეკი-ოზურგეთი-შემოქმედის, ჩოხატაური-ბახმაროს გზების რეაბილიტაციამოვლით სამუშაოებს დაფინანსებენ.

თემურ ჯაჯვამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მოხდება **ნაგომარი-ოზურგეთის, ექალია-ქაქუთის გზის რეაბილიტაცია; გურიანთა-ფვერმალალას გზის შეკეთება; კურორტ ბახმაროს მიმართულებით გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის მოწყობა.**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 დეკემბერს.

„ ჩვენ ატესტაციას ვაპირებთ, თანამშრომლები კონკურსის წესით დაინიშნებიან “

ინტერვიუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან კონსტანტინე შარაშენიძესთან

გაზეთ „ალიონის“ ინტერვიუ კონსტანტინე შარაშენიძესთან გასულ ხუთშაბათს, გვიან ღამით შედგა. რესპონდეტმა პასუხი გასცა „ალიონის“ შეკითხვებს, მაგრამ ცალკეული კითხვებზე კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

–ბატონო კოტე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე უკვე მესამე კვირაა მუშაობთ. საზოგადოებას, ჩვენს მკითხველებს აინტერესებს თუ რა არის თქვენი სამოქმედო პროგრამა, როგორ ფიქრობთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ხელშეწყობას?

–პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც მხარი დამიჭირა. ვაპირებ თანამშრომლობას იმ ადამიანებთან, ვინც მხარი არ დამიჭირა. არ აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა. ყველას აქვს თავისი აზრი და ყველა თავისი აზრით მოქმედებდა. რასაც მე ვპირდები მოსახლეობას, არის ის რომ, ვიქნები ეფექტური ხელმძღვანელი, რაზედაც მაქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, პრაქტიკული სამუშაოები მაქვს შენასრულები ჩემი ცხოვრების მანძილზე და ნამდვილად არ მიჭირს განვსაზღვრო, როგორ უნდა წარვმართო ამ მუნიციპალიტეტის საქმიანობა. არის პროცედურული საკითხები, რომელსაც სჭირდება სამართლებრივ ჩარჩოებში მოხვედრა, იქედან გამომდინარე, რომ არის ორი მუნიციპალიტეტი შერწყმის პროცესში და ქმედითი ნაბიჯები დაიწყება 2018 წლის იანვრიდან.

რაც შეეხება დასაქმების პროგრამას, მუნიციპალიტეტის შიდა სტრუქტურებში ადამიანები დასაქმდებიან მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით. ეს ამ შენობაში ვერ შექმნის იმ ამინდს, რომ უმუშევრობის პრობლემა გადაწყვიტოს ოზურგეთში, ამიტომ ვაპირებ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას. უკვე დავიწყე მუშაობა და ბევრი კონტაქტი ავამოქმედე, რომ შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში. მუნიციპალიტეტი ყველანაირად შეუწყობს ხელს იმ პროექტებს, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან სამუშაო ადგილების შექმნაზე.

–რა ეტაპზეა ამჟამად „ზარას“ ფაბრიკის მშენებლობის თემა, რომლის აგებაზე მოლაპარაკება რეგიონის ხელისუფლებამ წელს, ზაფხულში დაასრულა, რომელიც ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის?

–„ზარას“ ხელმძღვანელობას შევხდი. ისინი არიან ჩამოყალიბების პროცესში, რასაც ჰქვია პირობიანი ხელშეკრულების ამოქმედების პირველი ეტაპი, რომ იგი სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს. ურთიერთანამშრომლობის პირობები ჩამოვაყალიბეთ „ზარას“ ხელმძღვანელობასანაც, რაც გამოიხატება იმ საკითხ-

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ ჩვენ ატესტაციას ვაპირებთ, თანამშრომლები კონკურსის წესით დაინიშნებიან “

ინტერვიუ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან კონსტანტინე შარაშენიძესთან

ების მოგვარებაში, რაშიც ჩვენი გვერდში დგომა იქნება საჭირო. პროფესიული გადამზადების კუთხით გვაქვს თანამშრომლობა იმ სასწავლო ცენტრებთან, სადაც მშენებლობის პარალელურად მოხდება ადამიანების გადამზადება. ჩვენ სოფლის რწმუნებულების, ადგილობრივი დეპუტატების მეშვეობით დავეხმარებით დასასაქმებელი კადრების შერჩევაში. მშენებლობის დასრულების და შესაბამისი ტექნიკის მონტაჟის დასრულებისთანავე, მათ ეყოლებათ შესაბამისი გადამზადებული კადრები. ამჟამად ქ. ოზურგეთში, ზვანის უბანში, ანსეულის ყოფილი ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საწარმოსათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობვითი სამუშაოები.

სოფლის მეურნების განვითარებისათვის მიმაჩნია, განვავითაროთ ჩაის დარგი, რაც გამოიხატება სანერგე მეურნეობის, სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნაში. მუნიციპალიტეტი იქნება შუამავალი იმ ორგანიზაციებისა და კოპერატივებისა, რომლებიც სამართლებრივად განახორციელებენ ამ პროექტებს.

–თქვენ 2012 წლის 1 ოქტობრის არჩევნების შემდეგ, იმჟამინდელმა მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგებლად აგირჩიათ. მაშინ შეინარჩუნეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კადრები. როგორი მდგომარეობაა ახლა–მით უმეტეს, თქვენ არჩევნებში გამარჯვებისთანავე განაცხადეთ, რომ მიუხედავად იმისა, ვინ ვის მისცა ხმა, მზად იყავით ყველასთან თანამშრომლობისათვის..

–2012 წლის ოქტომბერში, როცა საკრებულომ გამგებლად ამირჩია, რამდენიმე სოფლის გამგებელი ეტაპობრივად დავითხოვე სამსახურიდან, ვინაიდან ვერ აღმოჩნდა მათში სურვილი და ენთუზიაზმი, რომელიც სჭირდებოდა საქმის კეთებას. რაც შეეხება საჯარო მოხელეებს უშუალოდ მუნიციპალიტეტში, მათი 90-95 პროცენტი შენარჩუნებული იყო, მაგრამ მათთვის რომ შემემჩნია არასწორი საქციელი და არასწორი ქმედებები, მე მათ დავემშვიდობებოდი. დღესაც ასე ვაპირებ. არ ვაპირებ იმ ნიშნით ადამიანების გარჩევას, თუ ვინ ვის მხარეზე იდგა. მუნიციპალიტეტში ახალი ორი დანიშნული მოადგილე და ჩემი თანამდებობაა. ნაწილი თანამშრომლებისა უკვე დანიშნულები არიან. სამსახურები ყალიბდება და ვარჩევთ პროფესიონალებს. თუ ვინმეს მოუწევს სამსახურის დატოვება, ისინი შესაბამის კომპენსაციას მიიღებენ. არანაირი პრობლემა არ იქნება მათთან, თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებენ იმ მოთხოვნას, რაც ჩვენ მიერ იქნება წარმოდგენილი.

– დღემდე არ დაგინიშნავთ თქვენი პირველი მოადგილე. ვფიქრობდით ამ პოსტს ირაკლი სირაძე დაიკავებდა...

– ვიცე-მერის პოზიცია დღეის მდგომარეობით არის თავისუფალი. ირაკლი სირაძე და ოსიკო თოთიბაძე მოადგილეებად არიან დანიშნულები. ირაკლი სირაძე არის პროფესიონალი, გაწონასწორებული და კეთილსინდისიერი ადამიანი, როგორც ოსიკო თოთიბაძე. ვიცე მერის პოზიცია არაა განსაკუთრებული, ამიტომ ირაკლიც და ოსიკოც თავიანთი პოზიციიდან ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ.

– ვის მოიაზრებთ ამ თანამდებობაზე?...

–ჯერჯერობით არ ვართ ამ საკითხზე ჩამოყალიბებული.

– როდის დაინიშნებიან დაბებსა და სოფლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები?

–2017 წლის 31 დეკემბრამდე ყველა დაბა და სოფელი იქნება დაკომპლექტებული.

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2018 წლის დასაწყისში ახალ ატესტაციას გეგმავთ და ქმნით კომისიას, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევთ. გარდა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა, კიდევ რომელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იქნებიან კომისიაში?

– შეიძლება ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი იყოს. ზუსტად ვერ გეტყვით, კიდევ ვინ იქნება. ჩვენ ატესტაციას ახლაც ვაპირებთ. კონკურსის წესით დაინიშნებიან თანამშრომლები. მათ კომისიასთან მოუწევთ გასუბრება, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც იქნებიან წარმოდგენილები.

– რამდენად ღია იქნება მედიასაშუალებებისათვის მუნიციპალიტეტის მუშაობა და ხომ არ იქნება საჯარო ინფორმაციების მისაღებად, სარეკლამო და ფასიანი მასალების გამოქვეყნებისას, პრივილეგირებული და არაპრივილიგებული მედიასაშუალებები?

–ყველა მედიასაშუალება თანაბარ პირობებში იქნება მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში.. მინდა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში ყველა მედიასაშუალება იყოს ჩართული, რომ ეს პროცესი საზოგადოებისთვის მეტად გამჭირვალე გავხადოთ.

– გაზეთი „ალიონი“ წერდა ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდგომარეობის შესახებ. ფაქტიურად ქალაქს არ აქვს მუზეუმი, რადგან იქ არსებული საექსპოზიციო დარბაზი პარალიზებულია. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მოხდეს მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება?

– მე ოთხი წლით ვარ არჩეული. ეს საკმაო დროა და ბევრ კარგ პროექტს განვახორციელებთ. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმის თემაც იქნება.

ჩვენ ინტერვიუ კვლავაც გვექნება, ამ ეტაპზე კი მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ 2018 წლის ბიუჯეტში, ჩვენს კომპეტენციაში შემავალი, მოსახლეობის ყველა საჭიროება იქნება გათვალისწინებული.

საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთი „ალიონი“ სხვა საკითხებთან ერთად, კვლავ დაუბრუნდება იმ თემებს, რაც მუნიციპალიტეტის მერიაში თანამშრომელთა დანიშვნას უკავშირდება. რა პრიორიტეტით მოხდა უკვე შერჩეული კადრების დანიშვნა. ვინ დაკმაყოფილებს და ვინ ვერა მერის ამჟამინდელ მოთხოვნებს და როგორ მოხდება კონკურსის შესაბამისად ახალი კადრების შერჩევა.

ნუგზარ ასათიანი

დამტკიცდა საკრებულოს აპარატის, მუდმივმოქმედი კომისიებისა და მერიის სამსახურების დებულებები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 დეკემბრის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 15 საკითხის განხილვისა და დამტკიცების გარდა, რამდენიმე საინტერესო განცხადება და წინადადება მოვისმინეთ.

საკრებულოზე მიიღეს და შესაბამისი დადგენილებებით დაამტკიცეს:

– ოზურგეთის მუნივიპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულება;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის დებულება.

გაზეთის დღევანდელ ნომერში საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და დაყენებულ წინადადებებსაც გაეცნობით.

სხდომაზე ცნობად მიიღეს ინფორმაციები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების „ოზურგეთის მომავლისა“ და „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ შექმნის შესახებ.

ტარიელ აროშიძე მობილობის პროცესის დროულად განხორციელებას ითხოვს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით, ამ ფრაქციის ხელმძღვანელი ტარიელ აროშიძე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოდან მობილობის პროცესის დროულად განხორციელებას ითხოვს.

ამის შესახებ აროშიძემ განცხადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 დეკემბრის სხდომის დასასრულს განაცხადა:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით, გვინდა, დავაფიქსიროთ, რომ მობილობის პროცესის შეფერხებით განხორციელება მნიშვნელოვნად აზარალებს მოსახლეობას.

მივმართავთ აღმასრულებელ ორგანოს, დროულად განახორციელონ მობილობის პროცესი, რათა სრულყოფილად დაიწყოს ფუნქციონირება ყველა სამსახურმა, მათ შორის სოფლებში მუნიციპალიტეტის მერი წარმომადგენლებმა“.

მედპერსონალი არ უნდა ისჯებოდეს სხვათა შეუსრულებელი ვალდებულებების გამო

შოთა გოგიბერიძის ინიციატივით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო წერილობით თხოვნას უგზავნის „მედალფას“ დამფუძნებელს

პატიოსნად ასრულებს, მიუხედავად იმისა, რა ხდება მის ირგვლივ, არ შეიძლება კოლექტივს დააკისრო კოლექტიური პასუხისმგებლობა, ამას საერთოდ არ ითვალისწინებს სამართლის პრინციპი, არც საერთაშორისო, არც ადგილობრივი სამართალი. ზოგადად ცნება კოლექტიური პასუხისმგებლობისა არ არსებობს. არ შეიძლება ექიმები დასჯო და ყველას დააკისრო პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ შენ რომელიღაც სტრუქტურა სუბიექტურ პრობლემას გიქმნის. ამ ექიმებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და ამაში ანაზღაურება უნდა მიიღონ.

ამ თემაზე ოზურგეთის საკრებულო, რასაკვირველია, ვერ მიიღებს ვერანაირ გადაწყვეტილებას. უბრალოდ, გულთან მიგვაქვს ჩვენი ძალიან სერიოზული სეგმენტის, ჩვენი სასიქადულო ამბრჩევლების ტკივილი და თუ დამეთანხმებით, თხოვნით მივმართოთ „მედალფას“ დამფუძნებელს, ბატონ პაატა კურტანიძეს. მზად მაქვს პროექტი, რომელსაც აქვე გაგაცნობთ და თქვენზეა დამოკიდებული რა ცვლილებებს შეიტანთ მასში:

ბატონო პაატა!

მადლიერებით აღვიქვამთ თქვენს საქველმოქმედო საქმიანობას და კვლავაც წარმატებებს გისურვებთ სადაზღვევო სფეროში ფარმაცევტულ და ჯანდაცვის მიმართულებით თქვენ მიერ გაწეულ საქმიანობაში.

სწორედ ზემოაღნიშნული დამოკიდებულება გვაძლევს საფუძველს, ოზურგეთელთა სახელით, მოგმართოთ თხოვნით, რათა ამ წინასაახალწლო დღეებში მოხერხდეს შპს „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრისათვის სახელფასო პრობლემის გადაწყვეტა. როგორც ქართულ ტელე და ბეჭდურ მედიაში გავრცელდა და, რასაკვირველია, თქვენთვისაც ცნობილია, ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის კოლექტივს დღეისათვის ოქტომბრის ხელფასიც არ აქვს სრულად მიღებული და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან დაგვიანებით გადმორიცხული თანხების გამო, ზარალდებიან სამედიცინო ცენტრის მუშაკები,

გთხოვთ, თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით მიიღოთ გადაწყვეტილება ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის სახელფასო უზრუნველყოფის შესახებ. მოგეხსენებათ, გარდა წინასაახალწლო მზადებისა, ამ ადამიანებს სხვადასხვა სფინანსო და სანავო ვალდებულებები გაჩნიათ და ასეც რომ არ იყოს, არც ერთი სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის შრომითი ურთიერთობა, არ ითვალისწინებს ე. წ. კოლექტიურ პასუხისმგებლობას სხვა სუბიექტის მიერ დარღვეული საკონტრაქტო პირობების გამო.

იმედი გვაქვს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და თქვენს დაქემდებარებაში არსებულ სტრუქტურებს შორის ფინანსური ანგარიშვალდებულების საკითხი დადებითად მოგვარდება. თუმცა მიგვაჩნია, რომ ყოველივე ამან არ უნდა იქონიოს გავლენა თქვენ მიერ ექიმებთან, ექთნებთან და სანიტრებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესრულებაზე და მედპერსონალი არ უნდა ისჯებოდეს სხვათა შეუსრულებელი ვალდებულებების გამო“.

ღრმა პატივისცემით,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო, საკრებულოს
თავმჯდომარე
დავით დარჩია“ .

სხდომაზე დამსწრე დეპუტატების თქმით, ამ თხოვნას არ სჭირდება არავითარი დადგენილების მიღება და ივი შეიძლება პირდაპირ გადაეგზავნოს ადრესატს.

ბესო ქათამაძე: „დაინტერესდეს ბატონი არჩილ თალაკვაძე ამ თემებით და ჯანდაცვის კომიტეტში დააყენოს ეს საკითხი“



ალიონი. „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო კლინიკაში შექმნილი მძიმე ფინანსური პრობლემის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 დეკემბრის სხდომაზე გაკეთებულ შოთა გოიბერიძის განცხადებას მოჰყვა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ადგილობრივი ლიდერის ბესო ქათამაძის განცხადება, რომელმაც მდგომარეობიდან გამოსვლის სხვა გზა შესთავაზა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას:

„აქ არის მეორე საკითხი. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ სოციალური პაკეტებიდან რა თანხაც არის ჩამოსარიცხი, იმის სრული ოდენობით დაჯარიმებულია „მედალფა“. თუ არ ვცდები, აქ არის ჩვენი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, დაინტერესდეს ბატონი არჩილ თალაკვაძე ამ თემებით და ჯანდაცვის კომიტეტში დააყენოს ეს საკითხი.

მედალფამ სასამართლოში უნდა იჩივლოს, შემდეგ კიდევ გაიწელება ეს პროცესი და ვერ ხდება მედპერსონალის სახელფასო უზრუნველყოფა. ისედაც მძიმე სოციალურ ფონზე კიდევ დამატებითი პრობლემები აქვთ ადამიანებს, იმიტომ, რომ 800 ათასი უნდა გადმოერიცხათ და ივივე რაოდენობის ჯარიმა აქვთ გადასახდელი. ეს შეიძლება სამართლიანი იყოს ან არასამართლიანი, მაგრამ ვიღაც დაინტერესდეს იქ, ჯანდაცვის კომიტეტში. დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს ვთხოვ, მიიტანოს ეს საკითხი დეპუტატამდე ამ საკითხის პარლამენტში დაყენება. ამ პრობლემას ჩვენ ვერ მოვაგვარებთ იმიტომ, რომ ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. იზრუნოს ბატონმა არჩილ თალაკვაძემ ამ პრობლემებთან ან დაკავშირებით“,— განაცხადა **ბესო ქათამაძემ.**

როგორც დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ლაშა ჭელიძემ „ალიონთან“ საუბარში თქვა, ბატონი არჩილი ინფორმირებულია ამ პრობლემის შესახებ და აუცილებლად მოხდება შესაბამისი რეაგირება.

იყო თუ არა ხელმოწერილი ბრძანება განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად ნატალია ხომერიკის დანიშვნის შესახებ

ალიონი. იყო თუ არა ხელმოწერილი ბრძანება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად ნატალია ხომერიკის დანიშვნის შესახებ? — მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კითხვაზე პასუხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა **სათუნა ცერცვაძემ** და **მარიკა ჩხიკვიშვილმა** საკრებულოს 14 ივლისის სხდომის დასასრულს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველის კოკა კილურაძისა და მერიის იურისტის ლაშა თავაძისგან ითხოვეს.

სათუნა ცერცვაძე: მაინტერესებს თუ ხორციელდება მობილობის დადგენილი წესები? თუ ხორციელდება, მაშინ რას ნიშნავს ინფორმაცი, რომელიც დღეს გავრცელდა და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის პოზიციაზე დანიშნა ნატალია ხომერიკი, ბრძანებაც არის გაზეთში გამოქვეყნებული. დღეს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს პროცესი გადაიდო, შეჩერდა... იქნებ გვიპასუხოთ ამის შესახებ.

კოკა კილურაძე: თვითონ მობილობის პროცესი ითვალისწინებს იმას, რომ ყოფილი ორივე მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომლისთვის აუცილებლად შეთავაზებული უნდა იყოს კონკრეტული თანამდებობა. შემდეგ, ვინც უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, მას მიეცემა ერთი თვის სარგოს ანაზღაურება, კომპენსაციის სახით და ის ადგილი დარჩება საკონკურსოდ გამოსაცხადებელი. კონკურსი იმ ადამიანების ადგილებზეც უნდა გამოცხადდეს, რომლებიც ქალაქის მერიაში ხელშეკრულებით იყვნენ აყვანილი, იმიტომ, რომ მობილობის განხორციელების შემდეგ დარჩენილი ადგილები ერთად უნდა გადავგზავნოთ საჯარო სამსახურის ბიუროში. დაახლოებით 20 დეკემბრისთვის უნდა გადავუგზავნოთ სრულად ეს ვაკანსიები.

სათუნა ცერცვაძე: კონკრეტულ შემთხვევაზე გეკითხებით, მედიაშია გამოქვეყნებული ბრძანება, რომ დანიშნა.

კოკა კილურაძე: ბრძანების გამოქვეყნება მედიაში მე არ ვიცი, უბრალოდ მედია ხშირ შემთხვევაში აქვეყნებს ცნობებს სხვადასხვაადამიანის დანიშვნასთან დაკავშირებით.

სათუნა ცერცვაძე: არა ბრძანებაა გამოქვეყნებული დანიშვნაზე და შემდეგ განთავისუფლებაზე გავრცელდა ინფორმაცია

კოკა კილურაძე: თუ რეალურად ასეთი ტიპის ბრძანება არსებობს, ამასთან დაკავშირებით, იმისი ავდენტურობა იქნება დასადასტურებელი შესაბამისი სამსახურის მიერ. თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ ეს ინფორმაცია და ის ბრძანება ჩვენგან ოფიციალურად. კონკრეტულ გვარებსა და კონკრეტულ თანამდებობებზე აქ ზუსტ ინფორმაციებს ვერ მოგაწვდით, მაგრამ ყველა ის პროცესი, რომელიც მიდის მუნიციპალიტეტში ფორმდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით. ამ სამართლებრივი აქტების მედიაში გაყონვის, გამოქვეყნების, სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნასთან დაკავშირებით პასუხს მე ნამდვილად ვერ ვაგებ. და უნდა მოთხოვოთ შესაბამის ჟურნალისტს, რომელმაც ეს გამოაქვეყნა, იმ ბრძანების ავდენტურობა, რომ ნამდვილად ეს ბრძანებაა (არავის საქმეში არ ვერევი,თ მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი მედიასაშუალება ან ჟურნალისტი, რომელიც მოგონილ ბრძანებას გამოაქვეყნებს!!! — რედაქცია)

მარიკა ჩხიკვიშვილი: ბატონო ლაშა, იქნებ თქვენ, როგორც მერიის იურისტმა, გვიპასუხოთ, იყო თუ არა ბრძანება დაწერილი?

ლაშა თავაძე: ბრძებების პროექტი იქნა შემუშავებული მაგრამ ამ ბრძანებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ოუიდიული ძალა შეძენილი არ ჰქონდა, ანუ მიმდინარეობდა მობილობის წესით შეთავაზება, იყო ქალბატონი დაბარებული, შეხვდა ხელმძღვანელობას და ამის შემდეგ იყო გადაწყვეტილების მიღება. პროექტის სახე ჰქონდა ამას.

სათუნა ცერცვაძე: ამ ქალბატონის დანიშვნას მაღალი საზოგადოებრივი აზრი მოჰყვა, ასევე გადანიშვნას დიდი საზოგადოებრივი ინტერესი მოყვება, ამიტომ დავსვი ეს შეკითხვა.

კოკა კილურაძე: ეს გადანიშვნა სად განხორციელდა და ვინ გადანიშნა, ეგეც არ ვიცით.

მარიკა ჩხიკვიშვილი: კითხვას გისვამ„ მერიის იურისტო, თქვენ თუ გაკეთეთ ეს ბრძანება, თუ მიიღო მერიამ ეს ბრძანება და თუ დანიშნა სამსახურის უფროსად ნატალია ხომერიკი? ძალიან გთხოვთ კონკრეტულად მიპასუხოთ. და კიდევ, ამჟამად არის თუ არა ის თქვენი თანამშრომელი? მობილობის წესი ჩვენაც კარგად ვიცით.

ლაშა თავაძე: სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნული არ არის. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ იყო მომზადებული ბრძანების პროექტი, რომელსაც შესაბამისად სამართლებრივი მსვლელობა და იურიდიული ძალა არ შეძენია და ამის პროცესში იყო შეთავაზება, ხელმძღვანელთან იყო შეხვედრაზე და ამის შემდეგ შესაბამის სამსახურს შესთავაზებს ხელმძღვანელი მობილობის წესით.

მარიკა ჩხიკვიშვილი: ანუ ბრძანებაზე ხელი არ იყო მოწერილი?

ლაშა თავაძე: არა, იურიდიული ძალის შეძენაზეა აქ საუბარი, სამართლებრივ აქტს აქვს თავისი იურიდიული ძალა, როცა ის ქვეყნდება, გარკვეული დროს გასვლის შემდეგ, 24 საათის გასვლის შემდეგ.

მარიკა ჩხიკვიშვილი: მაშინ თუ შეიძლება გვითხარით რა მიზეზების გამო შეიცვალა ეს პროექტი?

ლაშა თავაძე: არ ვიცი, ხელმძღვანელთან მოხდა გასაუბრება, თანამდებობის პირთან ხდება გასაუბრება

მარიკა ჩხიკვიშვილი: დეპუტატები ითხოვენ შესაბამისი განცხადების გაკეთებას, იმიტომ რომ საზოგადოების მაღალი ინტერესი (დადებითი) გამოიწვია როგორც პირველმა (დადებითი), ისე მეორე ფაქტმა (უარყოფითი), არც საკრებულოა ამ შემთხვევაში სათამაშო და არც ის ადამიანები, ვინაც ეს ინფორმაციები მიიღო. კითხვაზე ვერ ვღებულობთ კონკრეტულ პასუხს.

ლაშა თავაძე: მე გიპასუხეთ.

მარიკა ჩხიკვიშვილი: ვერ მივიღებთ ამას პასუხად.

„თუკი თანამდებობაზე აღმადგენენ, მზად ვარ ვითანამშრომლო მათთან“

ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსად დანიშნული და შემდეგ განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსად დაქვეითებული ნატალია ხომერიკი აცხადებს, რომ თუკი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არ აღადგენს იმ თანამდებობაზე, რომელზედაც თავდაპირველად დაინიშნა, მიმართავს სასამართლოს.

—როგორც გაზეთ „გურია ნიუსიდან“ გავიგე, ამა წლის 12 დეკემბერს დავინიშნე ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსად, რაც დამიდასტურეს ოზურგეთის მერიის იურიდიულ სამსახურში. მანამდე სამსახურის თაობაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია. მობილობის წესით ველოდებოდი თანამდებობას, მაგრამ რომელს, ეს ჩემთვის არ იყო ცნობილი. 13 დეკემბერს, ერთ-ერთი ჟურნალისტისაგან ვიგებ, რომ განთავისუფლებული ვარ დაკავებული თანამდებობიდან. გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ გადაყვანილი ვიყავი განყოფილების უფროსად, მეორე რანგის საჯარო მოხელედ. შევხვდი ბატონ კოტე შარაშენიძეს, რომელმაც მითხრა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და არ მოვიაზრებოდი ამ თანამდებობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოზურგეთის მერია მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, აღმადგენენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსად, რაც დამიდასტურეს ოზურგეთის მერიის იურიდიულ სამსახურში. მანამდე სამსახურის თაობაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია. მობილობის წესით ველოდებოდი თანამდებობას, მაგრამ რომელს, ეს ჩემთვის არ იყო ცნობილი. 13 დეკემბერს, ერთ-ერთი ჟურნალისტისაგან ვიგებ, რომ განთავისუფლებული ვარ დაკავებული თანამდებობიდან. გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ გადაყვანილი ვიყავი განყოფილების უფროსად, მეორე რანგის საჯარო მოხელედ. შევხვდი ბატონ კოტე შარაშენიძეს, რომელმაც მითხრა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და არ მოვიაზრებოდი ამ თანამდებობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოზურგეთის მერია მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, აღმადგენენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსად და მზად ვარ ვითანამშრომლო მათთან. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მერია არ აღმადგენს იმ თანამდებობაზე, რომელზედაც თავდაპირველად დამნიშნეს, დავიწყებ სამართლებრივ დავას,— გვითხრა **ნატალია ხომერიკმა.**

—მობილობის წესთან დაკავშირებით ცვლილებები საჯარო სამსახურის შესახებ, კანონში 2017 წლის ივნისში შევიდა. მისი ერთ-ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ საჯარო მოსამსახურეებს გაუჩნდეთ დაცულობის განცდა და მათი სამსახური არ დადგეს ეჭვქვეშ არჩევნების შედეგების მიუხედავად.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად: საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან /და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატის შემცირებისას, შესაბამისი მოხელე შესაძლებელია, მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას კი დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით.

ამდენად, მობილობის წესით საჯარო მოხელის ტოლფას ან დაბალ თანადებობაზე გადაყვანისას აუცილებელ პირობას წამოადგენს მოხელის თანხმობა. შესაბამისად თუ მოხელის თანხმობა არ იყო, დარღვეულია კანონის შესაბამის ნორმა,— ამბობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი **თამაზ ტრაპაიძე..**

პრიორიტეტულ მიმართულებად ტურისტული ობიექტების კეთილმოწყობა იქნება

13 დეკემბერს, გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე,** მოადგილეებთან ერთად, რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტების მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, მუნიციპალიტეტების საკრებულოებში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეებს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე გუბერნატორმა მიმდინარე პროექტებზე და მათ შესრულებებზე მიიღო ინფორმაცია. ასევე, განიხილეს 2018 წელს დაგეგმილი სხვადასხვა პროექტები.

„მომავალ წელს რეგიონში განხორციელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და პრიორიტეტულ მიმართულებად იქნება ტურისტული ობიექტების კეთილმოწყობაც. გვექნება მჭიდრო ურთიერთობა და დარწმუნებული ვარ, ჩვენი შემდგომი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი. მზად ვარ კოორდინირებული და ეფექტური მუშაობისთვის, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გურია იყოს ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონი“ - განაცხადა შეხვედრაზე მერაბ ჭანუყვაძემ.

ოზურგეთში ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი გაიხსნა

ალიონი. ოზურგეთში, გურიის ქუჩის №37-ში, მეოთხე სართულზე ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი გაიხსნა.

ცენტრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ფსიქოლოგ **ნონა მუხაშავრიას** თქმით, ასეთი ტიპის მომსახურების ცენტრი პირველია არა მხოლოდ ოზურგეთში არამედ მთლიანად გურიაში:

„ვფიქრობთ, აუცილებელ საქმეს ჩავუყარეთ საფუძველი. ეს პირველი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრია არა მხოლოდ ოზურგეთში, არამედ გურიაში. ცენტრის გახსნას, რა თქმა უნდა წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა ჩაგვიტარეს სპეციალური ტრეინინგი. ცენტრში, ჩემთან ერთად, მალე საქმეში ჩაერთვებიან ლოგოპედი, სპეცპედაგოგი, ართთერაპევტი და სხვები, ასევე ტექნიკური მუშაკი, რომელიც მოამზადებს პროექტებს“.

„ედელვაისმა“ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს მათი უფლებების დაცვის დღე კონცერტით მიულოცა

ალიონი. გასულ სამშაბათს ანსამბლმა „ედელვაისმა“ (ხელმძღვანელი **გიორგი ჩიხლაძე**) საქველმოქმედო ასოციაცია გურიაში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს თავიანთი უფლებების დღე კონცერტით მიულოცა.

თითქმის ორსაათიან ზეიმში აქტიურად ჩაერთნენ ასოციაციის ბენეფიციარები. ერთობლივი ძალებით შესრულებულ იქნა როგორც ქართული, ისე უცხოური სიმღერები.

საქველმოქმედო ასოციაციის ბენეფიციართა სახელით ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა **თამუნა ლურსმანაშვილმა:**

„ეს არ არის ჩვენთან „ედელვაისის“ არც პირველი და არც მეორე კონცერტი. ეს ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე ხშირად გვთავაზობს მსგავს საკონცერტო ღონისძიებებს. პირადად მე ამ ანსამბლის სოლისტი ვარ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „ედელვაისს“ ამ ორიგინალური მოლოცვისათვის.“

ოზურგეთის თეატრმა „სათამაშო პისტოლეტი“ გაისროლა

ალიონი. ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად დრამატურგ თამარ ბართაიას პიესა „სათამაშო პისტოლეტი“ გაისროლა. მისი ექო იმდენად დინამიკური და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მიღებული სასიამოვნო ემოციებისგან კარგა ხანს არ დაიცლება ადგილობრივი მაყურებელი და არც დასავლეთ საქართველოს თეატრებიდან სტუმრად ჩამოსული სცენის ცნობილი ხელოვანები.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასილ ჩიგოგიძე, რეჟისორი – ვახტანგ ჩხარტიშვილი, მხატვარი – გია გვიჩია, მუსიკალური გამფორმებელი – გოგა მახარაძე, სასცენო მოძრაობა – მარიკა ქვეითაია, ტექნიკური რეჟისორი – მაკა მამულაიშვილი.

მოქმედი პირნი და შემსრულებლები: იო (იგივე იორამი) – ვახტანგ ჩხარტიშვილი, მეა (იგივე მედეა) – მარი ხანთაძე.

ვრცელ მასალას ამ პრემიერის შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

წვერმაღალელმა ლევან ბერძენიშვილმა ჯეკპოტი 280 000 ლარი მოიგო

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის, წვერმაღალას დასახლების მცხოვრებმა ლევან ბერძენიშვილმა „აჭარაბეთის“ „სლოტების“ გათამაშებაში ჯეკპოტი – 280 ათასი ლარი მოიგო.

"ცოცხალი- LIVE"- 7

"ყველა ადამიანს აქვს შანსი, იყოს წარმატებული"

ირაკლი გურგენიძე, რეჟისორი ოზურგეთის თეატრში მუშაობდა ზურაბ პაპიაშვილის პიესაზე "თეფში", პრემიერა შედგა თბილისში, 2017 წლის 29 ოქტომბერს.

- ბატონო ირაკლი, ეს თქვენი პირველი შეხვედრაა გურიასთან?

- გურიასთან შეხება არ მქონია მანამდე და ძალიან სასიამოვნოა, რომ ამის საშუალება მომეცა, მით უმეტეს, პირდაპირ თეატრთან ურთიერთობით, რომელიც ძალიან საინტერესოა თავისი დასით, ისტორიით, და ამ რთულ, საველე პირობებში, როცა თეატრში რემონტი მიმდინარეობს, თეატრი მუშაობს ძალიან საინტერესოდ, სრული დატვირთვით. ეს ხელმძღვანელობის დამსახურებაა. მეც ძალიან მადლიერი ვარ ბატონი ვასო ჩიგოგიძისა და ბატონი ზაზა ჯინჭარაძის, რომ მომცეს ოზურგეთის თეატრში მუშაობის საშუალება, შთაბეჭდილება არის საუკეთესო. ასეთი თბილი, ყურადღებიანი, მოტივირებული კოლექტივი შესაშურია ბევრი ორგანიზაციისა და ბევრი თეატრისთვისაც.

რაც შეეხება პრემიერას, მიმაჩნია, რომ პრემიერის მერე სპექტაკლი მაყურებლის კუთვნილებაა. მაყურებლისთვისაა სპექტაკლიც და ზოგადად თეატრიც, მათთვის კეთდება ყველაფერი. ვიმედოვნებთ ჩვენი ნამუშევარი საინტერესო იქნება მათთვის, ველოდებით კრიტიკას, დადებით შეფასებებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, სურვილი გვაქვს, რომ მაყურებელმა შეიყვაროს ეს სპექტაკლი.

- თქვენ ამბობთ, რომ თეატრი არის ადგილი, სადაც ადამიანი უნდა დაფიქრდეს. „თეფში" ტოვებს ფიქრს ადამიანის მარტოობაზე. სოციალური ქსელების, გამარტივებული საკომუნიკაციო საშუალებების საუკუნეში მარტოობა აქტუალურია?

—თეატრი, მართლაც არის ადგილი, სადაც ადამიანი უნდა დაფიქრდეს. თეატრმა შეიძლება შემოგვთავაზოს ბევრად უფრო მძაფრი პრობლემებიც, ვიდრე ჩვენს სპექტაკლშია. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარტოობის თემას შეეხეთ იუმორით და ცოტა სევდითაც, დრამატურგიული ტექსტი გვაძლევდა ამის საშუალებას.

ზოგადად, ადამიანი არის სოციალური არსება და ნებისმიერ შემთხვევაში მას მარტოობა უჭირს. პიესიდან გამომდინარე შევეცადეთ გვესაუბრა მარტოობასთან ბრძოლის საშუალებებზე, რომელიც ხშირად კომიკურია. ჩვენი სპექტაკლის შემთხვევაში ეს არის სპირიტუალური სეანსები - სიმარტოვის დაძლევისათვის ყოფილი ცოლები თეფშის დატრიალების რიტუალით ინანგრძლივებენ კონტაქტს გარდაცვლილ მეუღლესთან.

21-ე საუკუნე, თუ ამ კუთხით მივუდგებით თემას, ინტერნეტიზაციის ეპოქაა, სადაც კომუნიკაცია გაადვილებულია, შეგვიძლია პარალელურ რეჟიმში ვეკონტაქტოთ ძალიან ბევრ ადამიანს. თუმცა მაინც მგონია, რომ ეს ურთიერთობები არ არის ის, რასაც ითხოვს ადამიანი შინაგანად. ეს გარკვეულწილად არის ურთიერთობების ფალსიფიკაცია. ვფიქრობ, რომ ცოცხალ ურთიერთობას ის ვერ ანაცვლებს. რა თქმა უნდა, ინტერნეტი აადვილებს საქმიან ურთიერთობებს, როგორღაც ანეიტრალებს ტერიტორიულ სიშორეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანური ურთიერთობები არის ცოცხალი ურთიერთობები. სწორედ ამ თემაზე შევეცადეთ გვესაუბრა სპექტაკლით და გვთქვა, რომ ეს ფორმა - სპირიტუალური სეანსებით ურთიერთობის გახაგრძლივება გარდაცვლილ ადამიანთან, სასაცილოა. უმჯობესია ვიდრე ცოცხლები ვართ და ვინც ცოცხლები ვართ, მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს, აქ ვიპოვოთ ეს ყველაფერი.

- დღეს მაყურებელი ნაკლებად დადის თეატრში, რას შეიძლება დავაბრალოთ?

- ინტრნეტმა და ნებისმიერი სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ მოაკლო მაყურებელი თეატრს, და კიდევ იმ ჩავარდნამ, რომელიც ჰქონდა ქართულ თეატრს. მართალია ეს წარსულს ჩაბარდა, დღეს ქართული თეატრი აქტიურად მუშაობს, ეძებს ახალ გამომსახველობით ფორმებს და არ ჩამორჩება ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ მაყურებლის დაკარგვასთან დაკავშირებით ჯერ უკეთესობა არ იგრძნობა, განსაკუთრებით რეგიონებში. აღარ არის კულტურა თეატრში წასვლის, ინტერესი ახალი ნამუშევრის ნახვის. პირადად ჩემთვის ეს ძალიან გულდასაწყვეტი და სევდიანია.

- თქვენ ხართ მრავალმხრივი განათლებით, გაქვთ მუსიკალური განათლება, ხართ ექიმი, რეჟისორი. თავად მიიჩნევთ რომ ხართ წარმატებული? რა კრიტერიუმით განსაზღვრავთ ამას?

- ყველაფერი ფარდობითია და მათ შორის წარმატებაც. ხშირია, როცა ცნობადობა გვერევა წარმატებულობაში. დღეს სრულიად შემთხვევითი ადამიანებიც ხდებიან ცნობადები. მათ იწვევენ სხვადასხვა სატელევიზიო შოუში, აქტიურად ვხედავთ სოციალურ ქსელებში, მედიაში, ამ გზით იხვეჭენ სახელს და ჩვენ ამასაც წარმატებას ვარქმევთ. გააჩნია ვინ რას ისახავს მიზნად და რას არქმევს წარმატებას.

მე ვთვლი, რომ წარმატება ისეთი რამ არის, რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდება, ჰორიზონტივითაა, იმიტომ, რომ ახალ-ახალი მიზნები ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში. წარუმატებლობის განცდა ნადვილად არ მაქვს, თუმცა ვფიქრობ რომ ჯერ ყველაფერი წინ არის და მისაღწევია. ძალიან მიჭირს ამ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

- ესეც ამ საუკუნემ მოიტანა ალბათ, ძალიან პოპულარული სიტყვებია „წარმატებას ვისურვებ".

- გეთანხმებით, დრომ მოიტანა, ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა. დღეს ყველა ადამიანს აქვს შანსი იყოს წარმატებული და მიაღწიოს ბევრს. უბრალოდ, ამ შესაძლებლობებს სწორად გამოყენება უნდა, ბევრი შრომა სჭირდება. ამ საუკუნეში თუ რამე შეიცვალა არის ის, რომ ყველა ადამიანს აქვს საშუალება მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას. ვგულისხმობ, მაგალითად, ფეოდალურ ან უფრო იქით, მონათმფლობელურ წყობილებებში მონა წარმატებული ვერ გახდებოდა. მას ჰქონდა გარკვეული მოცემულობა და გაივლიდა მთელ ცხოვრებას ამ მოცემულობაში. დღეს ასეთი მოცემულობები მცირდება და ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ამ მოცემულობებზე მეტი გავაკეთოთ. ეს არის კიდეც, ჩემი აზრით, წარმატება. ამ მხრივ შეიცვალა ყველაფერი.

საბედნიეროდ, დღეს ყველაფერი ჩვენს ხელშია.

- სამომავლო გეგმები?

- ზოგადად, კონკრეტულ გეგმებს არ ვსახავ. ჩემი ცხოვრება ასეა, რასაც დავგეგმავ ყველაფერი სხვანაირად ვითარდება. თუმცა არსებობს რაღაც პროექტები და იდეები."

ირაკლი გურგენიძე შარშან საუკეთესო დებიუტანტ რეჟისორად დასახელდა. დრამატურგ ზურა პაპაშვილის და რეჟისორ ირაკლი გურგენიძის „თეფშის" პრემიერაც წარმატებულად შედგა თბილისში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ეს და კიდევ ბევრი, რაზედაც ზოგადად გულღია ირაკლი სიტყვაძუნწობას იჩენს, ნაბიჯებია იმ გზაზე, რომელიც ჰორიზონტს მიღმა ახალ მიზნებს აჩენს.

ლია კილაძე

ბახველ ფეხბურთელთა ამბიციური მიზანდასახულობანი

ნუკრი ნიკოლაიშვილი

7-10 დეკემბერს თბილისში, საქართველოს 35-ე საფეხბურთო სკოლის მესვეურთა თავდაუზოგავი ზრუნვა-მოწადინებით (ხელმძღვანელი გოჩა ავსანჯანაშვილი), ჩატარდა ოთხთა საფეხბურთო ტურნირი, სადაც იასპარეზეს თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის სამმა გუნდმა, თბილისის „იბერიამ“ და ე. წ. სულაქველიძის აკადემიის აღსაზრდელებმა.

სანახაობრივად მიმზიდველ და სპორტულად ერთობ დაძაბულ ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს ბახველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ტოლი არავის დაუდეს და მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

აქ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გუნდური სათამაშო დონისა და სპორტული შემართების გათვალისწინებით, 35-ე სკოლის ხელმძღვანელობამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვის გუნდთან ხელშეკრულება დადო და მემორანდუმიც გააფორმა, რაც ფეხბურთელების სათამაშო ინვენტარით მომარაგებას და ნიჭიერი, პერსპექტული ფეხბურთელების უფასოდ სწავლებას და გაწვრთნას გულისხმობს.

როგორც ითქვა, რომ ეს ტურნირი მიზნად ისახავდა ნორჩი ფეხბურთელების შემოწმება-გამოვლენას და 2003-06 წლებში დაბადებული 5 ბავშვი კიდევაც მოიწონეს.

ლაშა სამსონია, ალეკო დეკანაძე, ლაჟვარდი ართილაყვა, გაიოზ ჭანუყვაძე და ნიკა აბულაძე ახალი წლიდან საწვრთნელ ვარჯიშებზე ივლიან დედაქალაქში მდებარე მდებარე 35-ე ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში. ისინი საგაისოდ ალბათ კიდევაც დაიცავენ 35-ე საფეხბურთო სკოლის სპორტულ პრესტიჟს

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, დედაქალაქის საფეხბურთო სკოლა ამიერიდან მათ ასევე ყოველწლიურად მოამარაგებს სპორტული ინვენტარითა და საფეხბურთო აქსექსუარებით.

სოფელ ბახვის გუნდის ხელმძღვანელობა, უშურველი თანადგომისა და ყურადღებისთვის გულითად მადლობას უხდის ოზურგეთის რაიონის იმჟამინდელ ლიდერს მერაბ ჭანუყვაძეს, აიპის ხელმძღვანელს ავთო სირბილაშვილს, რაიონული სპორტის სხვა მესვეურებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 35 სკოლის ხელმძღვანელთა ძალისხმევით, 2004 წელს დაბადებული ბავშვები გაისიდან დაიცავენ 35-ე საფეხბურთო სკოლის სპორტულ ღირსებას.

ეროვნული საფეხბურთო ლიგის სხვადასხვა კლუბში თამაშობენ ბახვის გუნდში აღზრდილი გიორგი ჭანუყვაძე (ცხინვალის „სპარტაკი“), ნუგზარ მაჭავარიანი („მაჭახელა“), დათო ჯიშკარკარიანი (სოხუმის „ცხუმი“), ილია ღლონტი (“გაგრა“), ასევე ირაკლი ინწკირველი და თორნიკე პაქსაძე.

ბახველთა გუნდს სელექციური კონტაქტები აქვს მთისპირის, ძიმითის, ბოხვაურის, ჯუმათის, სხვა მეზობელი სოფლების მცხოვრებლებთან, ასევე ოზურგეთის გიმნაზიის აღსაზრდელებთან.

ბახველთაგან ასევე იპყრობენ საყოველთაო ყურადღებას ძმები გიორგი და ნოდარ ვაშალომიძეები, ლუკა ლეჟავა, ზაზა ბაკურაძე და სხვები.

აქ ბარემ ისიც სათქმელია, რომ 35-ე სკოლის შემადგენლობის სამწვრთნელო შტაბში აიყვანეს და კიდევაც დაასაქმეს ბახველი აკაკი კრასოტკინი.

ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ ბახველთა მზრუნველობით, იგეგმება რაიონის მასშტაბით ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირის ჩატარება.

დასასრულს დავძენთ, რომ ბახველთა გუნდი საასპარეზოდ მოამზადეს გოჩა კრასოტკინმა და თორნიკე წულაძემ.

ნიგალი
(ლივანა)



ნიგალისხევი ფიზიკურ-გეოგრაფიულად არც ისე მნიშვნელოვანი ხევია, მაგრამ თავისი მოხერხებული მდებარეობითა და ბუნებრივი რესურსების წყალობით თითქმის მთელი ჭოროხის ქვემო დინების სახელად იქცა.

ეს ხევი ართვინის პირდაპირ მიერთვის ჭოროხს მარჯვნიდან. მისი მთავარი შტოები კარჩხალის ქედის სამხრეთ განშტოებიდან მოედინება. კარჩხალის იგივე შტო დებს ამ ხევის აღმოსავლეთ და, ნაწილობრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარსაც; სამხრეთით მომცრო ხევი (სვეტიბარი) ესაზღვრება, დასავლეთით - ჭოროხი; ნაგალისხევი შედარებით უფრო შორს ჩრდილოეთით განივრცობოდა.

ნაგალისხევი იმავე ტიპის ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონია, როგორიც ჭოროხის ხეობის სხვა ხევები, თავისი მთით, ზეგნითა და ბარით. ამ ფიზიკურ-გეოგრაფიულ არეალთა შორის აქ უფრო მნიშვნელოვანი მთა ჩანს, რომელიც ხარხანის ალპურ მდელოებამდე ადის.

სვეტიბარის ხევის სამეურნეო ცხოვრებაში მთას არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა, მაგრამ ადრე, როცა იქ უპირატესი ადგილი მეცხოველეობას ეკავა, მაშინ, ცხადია, მთაც წამყვან როლს ასრულებდა და მისი ცენტრიც ხევის ზემო წელზეა საგულვებელი. ამის გათვალისწინება იმიტომაცაა აუცილებელი, რომ იმ დროს ხევს სხვა სახელი (ამ ზოლში მდებარე რომელიმე პუნქტისა) უნდა რქმეოდა (ხევის მაშინდელი სახელის დადგენა თანამედროვე მკვლევარს არ გაუძნელდებოდა, საველე ძიების საშუალება რომ იყოს).

რაც შეეხება ნიგალს, ეს სახელი ხევს მას შემდეგ უნდა შერქმეოდა, როცა ხევის ცენტრმა ბარში გადმოინაცვლა. ნიგალიც სწორედ ბარის სოფელია - ხევის მარჯვენა სანაპიროზე და დიდად არც ჭოროხს შორავს.

ბრძოლა მეზობელი ხევების გასაერთიანებლად ამ ხევს ჯერ კიდევ იმ დროს უნდა დაეწყო, როცა მისი ცენტრი მთაში მდებარეობდა და პირველად სამხრეთით მიმდგარი ხევი შემოერთებინა. ამ შედარებით მომცრო ხევის სისუსტე ის იყო, რომ მას საზაფხულო სამოვრები თითქმის არ გააჩნდა. სამეურნეო ცხოვრების ეს აუცილებელი ატრიბუტი ამ ხევს მეზობელ ხევებში - ნიგალსა (ჩრდილოეთით) ან ბერთისაში (აღმოსავლეთით) უნდა ეძია, მაგრამ არჩევანიც აქ, ნიგალის სამეურნეო ინტერესებიდან გამომდინარე, მას ძლიერ შეზღუდული ჰქონდა და სურდა თუ არ სურდა, მაინც უახლოესი მეზობლისათვის (ნიგალი) უნდა დაეკავშირებინა თავისი ბედი.

ამ ხევის ათვისებით ნიგალი იძენდა იმ ძალას, რომელიც შემდგომი წინსვლისთვის და მეზობელ ხევებთან (ბერთის, დევის) მეტოქეობისთვის იყო აუცილებელი.

ჩრდილოელი მეზობლის წინააღმდეგობას ნიგალი უკვე სიხგოთის უღელტეხილზე უნდა წაწყდომოდა. ამას გვაფიქრებინებს ის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, რაც ამ რეგიონს გააჩნია. სინგოთამდე დევის ხევის განვრცობას არავითარი სერიოზული დაბრკოლება არ უჩანს.

საკუთრივ დევის ხევი საკმაოდ გრძელი ხევია. ისი მთავარი შტო დიდი კარჩხალის მთიდან მოედინება და ერთვის ჭოროხს მარჯვნიდან ფორჩხის პირდაპირ.

სამეურნეო თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დევის ხევის სათავეები - მდიდარი ალპური მდელოებით.

დევის ხევს არ შესწევდა ნიგალთან წარმატებით მეტოქეობის ძალა, ხოლო მისი შემოერთებით ნიგალი ისე ძლიერდებოდა, რომ მიჭიხიანამდე ჭოროხის ქვემო წელის მარჯვენა სანაპიროს ვერც ერთი ხევი (კალასკური, კატაფხია და ა. შ.) ვერ აღუდგებოდა წინ.

ჭოროხის გაღმა მხარეში (ქვემო წელზე) ორი „ქვეყანა“ იყო: ფორჩხა და ართვინი.

ფორჩხის ხეობა რომ ადრე ცალკე „ქვეყანა“ იყო, ეს ვახუშტის გეოგრაფიიდანაც კარგად ჩანს. ამ ხეობის აღწერისას ბატონიშვილი თუმცა არაფერს ამბობს ნიგალში შემავლობაზე, მაგრამ ეს რომ მან იცის, ნიგალის ხეობის მისეული აღწერილობის იმ ადგილიდან ჩანს ნათლად, სადაც ჭოროხის ქვემო წელის იმიერ-ამიერი ნიგალის საზღვრებში აქვს მოქცეული.

ხეობის აღწერას ვახუშტი „ფორჩხის - ხეობის მდინარის“ მომდინარეობით იწყებს, მაგრამ ასეთად ჩხალს კი არ მიიჩნევს, არამედ მის სამხრეთით მიმდინარე რომელიღაც წყალს.

აშკარაა, რომ ამ რეგიონის ოროგრაფიასა თუ ჰიდროგრაფიაზე მეცნიერ-ბატონიშვილს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია, მაგრამ ამას ახლა ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. უამისოდაც კარგად ჩანს, რომ მურღულიცა და მომდევნო ხატილაც ფორჩხის ხევად ანუ „ქვეყნად“ მიაჩნია და ასეცაა.

ამ „ქვეყნის“ წარმომქნელი ჩხალია, რომლის შესართავშიცაა სწორედ „დაბა დიდი ფორჩხა“.

ჩხალის ხევს პირველად ჩრდილო მეზობლის (ბელლევანის ხევი) ათვისება უნდა ეცადა, რადგან იგი უფრო ადვილად დასაძლევი იყო, ვიდრე მურღული; ამის შემდეგ კი ჩხალს არც მის ჩრდილოეთით მიმდგამი ვიწრო ზოლის დაჭერა გაუძნელდებოდა. მხოლოდ ჩრდილოეთით ფეხის მტკიცედ მოდგმით შეეძლო ჩხალს გაეტეხა მურღულის „ქვეყნის“ წინააღმდეგობა.

მურღულის „ქვეყანა“ მურღულისა და ხატილას ხევებს აერთიანებდა; ეს იყო და ეს, სხვა სარბიელი ყოველი მხრით ჰქონდა მოკვეთილი: აღმოსავლეთით ჭოროხი ეკრა, დასავლეთით - ქედები, სამხრეთით - ართვინის „ქვეყანა“.

მურღულის „ქვეყნის“ ათვისებით მთავრდება ჩხალის „ქვეყნის“ ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარება და იგი აღმოსავლეთიდან მოძალებული ნიგალის „ქვეყნის“ შემავალი ხდება...

ვახუშტი იცნობდა ართვინის ანუ „ართავანის“ „ქვეყანას“. ამიტომაც აღწერს მასაც „ფორჩხისებრ“ ცალკე (თუმცა უფრო მოკლედ). ბატონიშვილი აქ ძირითადად ამ „მცირე ქალაქის“ ადგილმდებარეობის მითითებით კმაყოფილდება, მაგრამ ზოგიერთი ხარვეზით: იგი სწორად მიუთითებს, თუ სად მიერთვის ჭოროხს „ისპირის მდინარე“ („...შავშეთის მდინარის, ივივე იმერხევი, შესართავის ზეით... დასავლეთიდამ...“), მაგრამ ცდება, როდესაც ართვინს ამ „მდინარის (ისპრის - ი. ს.) შესართავს ზეით... ჭოროხის... აღმოსავლეთ კიდეზედ...“ ასახელებს.

ამ „ქვეყნის“ დედახევი „ჭილეთია“, იგი არც ფიზიკურ-გეოგრაფიულად იყო გამორჩეული და არც სიმდიდრით, მაგრამ მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, საკმაოდ ძლიერი „ქვეყნის“ წარმოქმნა შეძლო.

ამ ხევის უპირატესობა ის იყო, რომ სწორედ იქ, სადაც იგი ერთვოდა ჭოროხს, ეს უკანასკნელი ვიწრო კლდოვან კალაპოტში ექცეოდა, რაც ადრიდანვე სახიდურად იქცა და თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ხიდმავე ითამაშა გადამწყვეტი როლი ამ „ქვეყნის“ წარმოქმნაშიც.

ართვინის „ქვეყანას“ ორი მხრით (აღმოსავლეთით, სამხრეთით) ჭოროხი ეკვროდა, ჩრდილოეთით - ჯერ მურღულის „ქვეყანა“, ხოლო შემდეგ - ჩხალისა. ყველაზე უკეთესი პირობები ართვინის „ქვეყანას“ გაფართოებისთვის სამხრეთ-დასავლეთით ჰქონდა, სადაც მცირე ხევების დაუფლებით თანდათანობით იკრებდა ძალას მელოსა და ჭილჭიმის ხევების გასაერთიანებლად.

ასეთ განვრცობაში უნდა დახვედროდა ეს „ქვეყანა“ ნიგალს...

X X X

ნიგალის „ქვეყანა“ ისტორიულ-გეოგრაფიულად პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა (მე-18 ს.) აღწერა.

სახელწოდება „ნიგალი“ ვახუშტის თვალსაჩინოდ სახენაცვალი ფორმით მოაქვს „ლიგანი“, მიჯნებიდან კი მხოლოდ ორს ასახელებს: „ართვინის სანახები“ (სამხრეთით) და „ერგეს საზღვარი“ (ჩრდილოეთით).

უკანასკნელი ადგილად შესაცნობია, რადგან ერგეს ადგილმდებარეობა (ჭოროხის ქვემო წელში, მარჯვენა სანაპიროზე) კარგადაა გარკვეული. რაც შეეხება პირველს, იქ „ართვინის სანახების“ სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იგულისხმება.

სახელოვანი ისტორიკოსი შესაშური დაკვირვებითა და სიფრთხილით ესწრაფვის საკუთრივ ნიგალ-ლიგანისა და შემგომ ამ ქვეყანაში შესული ფორჩხისა და ართვინის „ქვეყნების“ გამიჯვნას.

ამ „ქვეყნებს“ მეცნიერი მთაბარობის თავისი თეორიითაც საინტერესოდ ახასიათებს, მაგრამ ბარსა და მთას შორისი ზოლის (ზეგნის) გაუთვალისწინებლობა ვითარების სრულყოფილი წარმოჩენის საშუალებას არ აძლევს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ზეგანი ის თვალსაჩინო ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულია, რომელიც ზოგან „ქვეყნის“ ნაწილის სახელადაც კი იქცა (ზემო აჭარა).

გარდა ამისა, ნიგალსა თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა „ქვეყნებში“, არც მთაა ერთგვაროვანი. ამათ გასარჩევად, ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გარდა, მარადთოვლიანობაც გამოდგება. ასეთ მთებს („მთანი თოვლიანნი“) ვახუშტი „ლიგანშიც“ ასახელებს.

ერთგვარ კორექტივს ამ ქვეყნის ბარის ვახუშტისეული განსაზღვრაც მოითხოვს. ნათლად ჩანს, რომ აქ ბარის ნიშნად გაცილებით მეტი უპირატესობა აქვს ციტრუსებს, ვიდრე ვაზს. უკანასკნელი ბარშიც ხარობს და ზეგანზეც, ციტრუსი კი ბარის კულტურაა.

ვახუშტიმ კარგად იცოდა ნიგალის ხეობის სამეურნეო თავისებურება და ამიტომ იწყებდა ამ „ფრიად ნაყოფიერი“ ქვეყნის აღწერას ციტრუსებით („ნარინჯი, თურინჯი...“). ამასვე მიუთითებს ბატონიშვილი გონიოს, ერგესა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამეურნეო დახასიათებისას.

ვახუშტიმ ნიგალის ხევის საეკლესიო შემავლობაც (ანჩელის სამწყსო) კარგად იცის. ანჩას „ოჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე“.

ბატონიშვილი აქ სამცხე საათაბაგოს საკათალიკოსოს სამწყსოს მღვდელმთავართა სამრევლოების აღწერილობას ემყარება.

ვახუშტი ანჩის საკათედრო ტაძრის ადგილმდებარეობისადმიც ავლენს ინტერესს, მაგრამ ცდება, როდესაც მას „ფორჩხის ხეობის ზეით“ და ჭოროხის დასავლით, „ისპირის მთის კალთაზე“ გულისხმობს.

ანჩის საკათედრო ტაძრის გაუქმების (1664) შემდეგ ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ნიგალის ხევს მღვდელმთავარი აღარ ჰყოლია. აქ მღვდელმთავრობის აღდგენა მხოლოდ ნიგალის შემოერთების შემდეგ მოხერხდა, როდესაც ეს მხარე კლარჯეთთან, ტაოსთან, ჭანეთსა და აჭარასთან ერთად ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში შევიდა:

ნიგალის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას 50-იან წლებში შევუდექით. ძიების პირველი შედეგები 1958 წელს დავბეჭდეთ, სხვა კი ახლა ქვეყნდება.

მასალების ერთი ნაწილი საველე ძიებითაა მოპოვებული, ხოლო სადაც ამგვარი კვლევის საშუალება არ გვქონდა, იქ სხვადასხვა წყაროს (წერილობითი, ზეპირსიტყვიერი) ვემყარებით.

იური სიხარულიძე
პროფესორი

სამყაროს წარმოშობა

წერილი მეხუთე

ვარსკვლავების მოძრაობა

სამყარო არის ცოცხალი არსება. ვარსკვლავები წარმოადგენენ სამყაროს, ანუ უზარმაზარი ცოცხალი არსებების სასიცოცხლო ნაწილაკებს.

იმის მიხედვით, თუ რომელი ვარსკვლავი რა მოძრაობას ასრულებს, ისინი პირობითად იყოფა სამ კატეგორიად.

პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან ის ვარსკვლავები, რომლებიც ქმნიან ფიზიკურ სამყაროსა და სხეულს, არიან გონიერი მენტალური ძალებით თავთავიანთ ადგილებზე დამაგრებულნი, ასრულებენ ადგილობრივ ბრუნვებს, ანდა წრიულ თუ ელიფსურ მოძრაობებს.

მეორე კატეგორიას განეკუთვნებიან ის ვარსკვლავები, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და სამყაროს უმაღლესი ძალების დადგენილი პროგრამის მიხედვით, შავი ხვრელების გამწოვი ძალის ზემოქმედებით, იწყებენ მოძრაობას სამყაროს ფარგლების დატოვების მიზნით, როგორც გამოუსადეგარი შედეგი, რათა მათი ადგილები დაიკავონ ჯანმრთელმა ვარსკვლავებმა.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებიან ის ვარსკვლავები, რომლებიც სამყაროში არიან შემოსულნი საკვების სახით და რომელთაგანაც სამყაროს მმართველი ძალების ზემოქმედებით ზოგი მიიმართება შავი ხვრელების მიერ გაწოვილი ფუნქციადაკარგული ვარსკვლავები ადგილის დასაკავებლად, ზოგიც იმ ქურაში, სადაც უნდა მოხდეს მათი გადამუშავება – სამყაროს არსებობისათვის საჭირო სითბური ენერგიის გამომუშავება, რის შედეგადაც მათი ნარჩენებიც სამყაროს გარეთ გაიდევნებიან.

ზოგიერთი ვარსკვლავის საშუალებით, მენტალური სამყარო არეგულირებს სიცოცხლის განვითარების პროცესებს სიცოცხლისუნარიან ვარსკვლავებზე. ზოგიერთ მათგანს შეუძლია გაღიზიანებული ადამიანები დააწყნაროს და დაამშვიდოს.

ზოგიერთი სხივი ადამიანს ეხმარება აზროვნების განვითარებაში, ზოგიერთი კატაკლიზმებს წარმოშობს და ა. შ.

ასე რომ, ფუნქციის დანიშნულების გარეშე სამყაროში არავინ და არაფერია დარჩენილი, არც მცირე და არც უზარმაზარი, არც ადამიანი და არც ვარსკვლავი.

მაკროსამყარო მართვადია, სხვანაირად მისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

უმაღლესი აზროვნების, ანუ მენტალური სამყაროს განკარგულებით და უმაღლესი ენერგოსისტემების დახმარებით, უმაღლესი ელასტიკური მაგნიტური სისტემიდან, ანუ მენტალური სამყაროს სხეულიდან გამოდიან ელასტიკური მაგნიტური სხივები, რომლებიც ასრულებენ კონკრეტულ დავალებებს.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი მზის სისტემა. მაგნიტური ცენტრიდან წამოსულ ერთ-ერთ ელასტიკურ მაგნიტურ საცეცს მენტალური სამყაროს მიერ მინიშნებულ ადგილზე უჭირავს მზის სისტემა.

როგორც მზის, ასევე მზის ირგვლივ განთავსებული პლანეტების მოძრაობა სრულდება მაგნიტური საცეცების მეშვეობით.

ნებისმიერი პლანეტის გარშემო შექმნილი მაგნიტური საფარი, რომელსაც გარკვეული სისქე გააჩნია, წარმოადგენს ნახევარგამტარ იზოლაციას იმ დანიშნულებით, რომ მზიდან წამოსულ სითბურ სხივებს დედამიწისაკენ ატარებს, შემდეგ კი დედამიწიდან გასვლის საშუალებას აღარ აძლევს, ეს იმიტომ, რომ მენტალური სამყარო ოპტიმალურად იყენებს მზის მიერ გამოყოფილ ენერგიას. მზე მხოლოდ თავისი პლანეტებისაკენ მიმართავს სითბურ ნაკადებს. მის გარშემო დარჩენილი სივრცე კი, ისევე, როგორც ვარსკვლავებს შორის დარჩენილი სივრცე, წარმოადგენს უმაღლეს განვითარებას.

(გაგრძელება იქნება)

გურამ ცერცვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი.

განცხადება
მეესაჭიროება
მიმტანი და
მზარეული
მობ. (514) 03 80 03

სკანვორდი



№ 49-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გურამ რჩეულიშვილი, სარდალი – სპასპეტი, წერილობითი თხოვნა, საჩივარი – აჯა, სასვენელის სახეობა – მოკვეთა, „კაცია ადამიანის“ პერსონაჟი – ლუარსაბი, ჯამბაზი – მუშაითი, მუხას რომ შეესია – მუმლი; სოფლის ყრილობა – ჯამათი, ებრაელი – ურია, მუსიკის ნაწარმოების დასაწყისი - უვერტიურა; დედამიწის ქუდი – ცა, ჩითილების გამოსაყვანი – სათბური; წყლის ტრანსპორტი – ნავი, კომპანია – ვისოლი, სასწორის ჯამი – პინაკი, ნაკადული ხევში – ღელე, უზბეკეთის დედაქალაქი – ტაშკენტი, დასაკეცი დანა – ცილვი, რეალის ყოფილი თავდამსხმელი – რაული, ქალის სახელი – მადლენა, ქართული ცეკვა – ფუნდრუკი; მხარე საქართველოში – გურია; ნიადაგის ფენა – შრე, ადამის მეულლე – ევა; ცეცხლის გასაცალებელი – კერია, საკონცენტრაციო ბანაკი – ოსვენციმი, მდინარე ციმბირში – ლენა, ბანქო – კარტი, მეტყველების ორგანო – ენა. საწინააღმდეგო – ანტი, ხშირი ტყე – ტევრი, საქონლის სადგომი – ბაკი, თმის საღებავი – ინა, დროის საზომი – საათი, სამხრეთის ქარი – არავი.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი
„ალიონი“ №№29-32, 34, 37-40,49

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

გურიელის სასახლე

1627 წლის, რომის პაპის – ურბანო მერვესადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში – „რელაციონში“, მლოცავრე მოგზაური პიეტრო დელა ვალე ხაზგასმით მიუთითებს:

„ზღვისპირეთს რომ ფლობენ დადიანი და გურიელი,მათ ქვეშევრდომებს დიდი ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული მთელ საბერძნეთთან. ისინი პოლონეთის კაზაკებს, რომლებიც დნეპრის შუა ზღვასთან შესართავზე ცხოვრობენ დიდი სიყვარულით იღებენ თავიანთ ქვეყანაში. ეს ორი ხალხი ემოყვრება კიდეც ერთმანეთს... კაზაკები ამ ქვეყნის სავაჭრო გემებსაც მფარველობენ. თვით პოლშის ხელმწიფეს ამ მთავრებთან (დადიანთან და გურიელთან) მეგობრობა და მიმოწერა აქვთ. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიან ... ამ მხრივ (ეს) ქართველები ჩვენთვისაც - (იტალიელებისთვისაც) ძლიერ სასარგებლონი იქნებიან თუ ჩვენ რაიმე დიდი საქმე წამოვიწყეთ ზღვით ან ხმელეთით თურქეთის წინააღმდეგ.

პიეტრო დელა ვალეს ცნობაში მოხსენიებული დნეპრელი კაზაკები - მკვიდრნი ზაპოროჟიეს სეჩისა მშვენივრად იყენებენ გურიის მხარის „ოზურგეთის ქვეყნის“ ზღვისპირეთს მის დედა მდინარეებს პოლიტიკური მიზნებისათვის.

„კაზაკებმა,-აღნიშნავს პიეტრო დელა ვალე, - გადაწყვეტს კოლხეთის სანაპიროზე ორმოცი კაცი გადმოესხათ, ყველაზე უფრო გაბედული და კეთილშობილური ხასიათისა. ამ ორმოც კაცს დაავალეს კარგად დაკვირვებოდნენ გზას და თუ შესაძლებელი გახდებოდა და თუ შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, სპარსეთის მეფის კარზე წასულიყვნენ და მოლაპარაკება გაემართათ ამ მეფესთან ... თურქეთის საწინააღმდეგოდ. ამ ორმოცმა კაცმა გამოიყენა გურიის მდინარეები და ამავე მთავარმა რეკომენდაცია მისცა იმერეთის მეფესთან“.

პიეტრო დელა ვალეს მოხსენებით ბარათში დაცული ცნობების უეჭველობა დოკუმენტურადაც დასტურდება მხარის სინამდვილეში აღმოჩენილი როგორც პოლონური, ასევე ევროპული მონეტების მასალების სიმრავლით.

1900 წელს სოფელ ზედუბანში, „ოზურგეთის ქვეყნის“ შემადგენელ ნაწილში, სუფსის მარცხენა სანაპიროზე შემთხვევით იქნა ნაპოვნი ორი პოლონური ვერცხლის მონეტა. ამდენივე ვერცხლის პოლონური მონეტა იპოვნეს 1958 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში – სუფსის მარჯვენა სანაპიროზე.

1979 წელს „ოზურგეთის ქვეყნის“ სოფელ მაკვანეთში ე. წ. „შეტაულას“ უბანში გიორგი გრიგოლის ძე არობელიძემ იპოვა ოთხი ვერცხლის პოლონური მონეტა.

1986 წლის ივნისში, პედაგოგმა ლიდა ზაქარიაძემ ოზურგეთში გოგებაშვილის ქუჩა № 86-ში მდებარე საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობისას იპოვა ოთხი ერთეული პოლონური მონეტა.

ზედუბანში, კონჭკათში, ოზურგეთსა და მაკვანეთში ნაპოვნი პოლონური მონეტები XVII საუკუნის ოციან წლებს განეკუთვნება და მოჭრილია რეჩ–პოსპოლიტას მეფის სიგიზმუნდ მესამე ვაზას ზეობაში (1624-1627), რაც ქრონოლოგიურად უფარდდება პიეტრო დელა-ვალესთან დაცულ ცნობების სისწორეს.

ევროპული მონეტების მნიშვნელოვანი განძი აღმოჩნდა „შემთხვევითობის ნიადაგზე“ „ოზურგეთის ქვეყნის“ ცენტრში საკუთრივ ოზურგეთში 1953 წლის 10 ივნისს ე.წ. „სერის უბანზე“ ნორჩ ნატურალისტთა საცდელ ნაკვეთზე, წონით 9 კილოგრამი. რაოდენობით 414 ერთეული ბიოლოგიის მასწავლებელმა ლეონიდე ნიორაძემ, აღსაზრდელებმა: კოლია ჩელინმა და ვაჟა ურანგულაშვილმა მოზრდილი სპილენძის ჭურჭელი იპოვნეს. ჭურჭელში 414 ერთეული ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. განძის შედგენილობის 414 ერთეულიდან 144 ერთეული ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. დანარჩენი 270 ერთეული აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

განძის შემადგენლობიდან აღსანიშნავია ტალერი მონეტები. ტალერები დიდი ნომინალები. იგი როგორც საქონელთა-საქონელი 1474 წელს გამოჩნდა ევროპის სახელმწიფოთა ფულადი მიმოქცევის არეალში, როცა მილანის ჰერცოგმა გალეაცო მარია სუორტამ დაიწყო მისი მოჭრა. ცვალონების სახელწოდებით.

1484 წლიდან ტალერები მიმოქცევაში გაუშვა ტიროლის ჰერცოგმა საგიზმენდმა გულდენ გროშენის სახელწოდებით. გულდენგროშენმა ფართო გავრცელება ჰპოვა მეზობელ სახელმწიფოებში. „ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ დაიწყო ამავე ყაიდის მონეტების გამოშვება.

XVI საუკუნიდან მოკიდებული გულდენგროშენს ტალერი ეწოდება. 1519 წელს ბოჰემიაში (ჩეხეთი), ხელი მოჰკიდეს ქალაქ იოხამსტალის საბადოების ვერცხლიდან გუდენგროშენების გაშვებას... ქალაქ იოხამსტალში მოჭრილი დიდ ნომინალს ტალერი ეწოდა“.

იოსამსტალის სახელიდან მომდინარე ტალერმა საფრანგეთში ჟაკონდალის, რუსეთში ეფიმკის სახელწოდება მიიღო, თუმცა ამ მონეტებს ძირითადად მაინც ტალერის სახელწოდებით იხსენიებდნენ.“იტალიაში ტალერის სახელწოდებიდან მომდინარე მას ტალეროსი, ჰოლანდიაში დაალდერი, პოლონეთში ტალიაზი, ხოლო ამერიკაში დოლარი ეწოდა.

ოზურგეთში ნაპოვნი ტალერული მონეტების განძის ყველაზე ადრინდელი ცალები ჰერცოგ ფერდინანდის ზეობაში (1564-1595) ტიროლის საგრაფოს ჰალეს ზარაფხანაში მოჭრილი. მონეტის შუბლზე „ სწორხაზოვან რკალში, პროფილით მარჯვნივ, ერცჰერცოგ ფერდინანდის წელზევითა გამოსახულებაა კვერთხით მარჯვენა ხელში და მახვილის ტარით მარცხენა ხელში; თოკისებური რკალით ირგვლივ შემოვლებული აქვს ლათინური ზედწერილი: ფერდინანდი, ღვთის წყალობით ერცჰერცოგი ავსტრიისა“.

მონეტის ზურგზე „სწორხაზოვან რკალში მოთავსებულია ოქროს საწმისის ორდენის ძეწკვით შემოვლებული სიგრძით ფარი უნგრეთის, ჩეხეთის, კასტილია-ლეონის, ავსტრია-ბურგუნდიისა და ტიროლისა“ თოკისებური რკალით შემოვლებულ ზედწერილში ვკითხულობთ: „ჰერცოგი ბურგუნდიის, გრაფი ტიროლის“.

განძის შემადგენლობაში დაცულ ცალებს იმპერატორ რუდოლფ II-ის სახელით ტიროლის საგრაფოს ჰალეს ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები აგრძელებს. მონეტის შუბლის ზეწერილზე იკითხება: იმპერატორი „რუდოლფ II (1576-1612 წ.წ. „ღვთის წყალობით რომაელთა იმპერატორი, უავგუსტესი მეფე ბოჰემიის, უნგრეთის, მორაკიის.

მონეტების გარკვეული ნაწილი ელზასის საგრაფოს ჰალეს ზარაფხანაში მოჭრილი. და 1608, 1610. 1613 წლებით თარიღდებიან. 1608 წელს მოჭრილი მონეტის შუბლზე გამოსახულია საგერბო ფარი. მასზე ჩამოთვლილი თანმიმდევრობით განლაგებულია:

უნგრეთის ტიროლის, ელზასის, ბოჰემიის. შტირიის, ბურგუნდიის, ავსტრიის, კასტილიის, კარინთიის, ჰაბსბერგთა, გორიცის, ბურგაუს, სავოიის, ვიურტენბერგის და პფირიტის ღერბები. ზედწერილში იკითხება: „ლანდგრაფი ელზასის, გრაფი ჰფირიტის“.

განძში დაცული ავსტრიული ტალერების შემდგომი ცალები, რომელიც ტიროლის საგრაფოს ჰალეს ზარაფხანაშია მოჭრილი ერცჰერცოგ მაქსიმილიანეს განეკუთვნება (1612-1618 წ.წ.)

1613 წელს მოჭრილი ტალერის ცალის შუბლზე, მცენარეულ რკალში გამოსახულია ერცჰერცოგ მაქსიმილიანის ბიუსტი ზედწერილით: „მაქსიმილიანე ერცჰერცოგი ავსტრიის, ჰერცოგი ბურგუნდიის, შტირიის, კორინთიის“

მონეტის ზურგზე მცენარეულ რკალში გამოსახულია „ტევტონთა ორდენის ჯერით ოთხად გაყოფილი საგერბო ფარი უნგრეთის, ბოჰემიის, ავსტრიის, ბურგუნდიის, ტიროლისა და ჰამსბურგთა ღერბებით“. მთავარი საგერბო ფარის თავზე, გვირგვინის გარშემო წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ლათინური ზედწერილია: ერცჰერცოგი „კრაინისა, პრუსიის საგამგებლოს, ადმინისტრატორი, გრაფი ჰაბსბურგთა და ტიროლისა“.

იმპერატორ ფერდინან მეორის სახელით (1619-1637), კარინთიის საჰერცოგოს კლემენფურტის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების გარკვეული რაოდენობა რომლებიც 1619 წლით თარიღდებიან. მისივე სახელით მონეტების გარკვეული ნაწილი მოჭრილია 1623 წელს ტიროლის საგრაფოს ზარაფხანაში, და შტირიის საჰერცოგოს ზარაფხანაში 1623 წელს.

ოზურგეთის განძი შეიცავს ერცჰერცოგ ლეოპოლდის სახელით (1619-1632) ტიროლის საგრაფოს ჰალეს ზარაფხანაში მოჭრილი ავსტრიული ტალერებს. ტალერების რამდენიმე ცალი მისივე სახელით მოჭრილია ელზასის საგრაფოს ენსიჰგჰაიმის ზარაფხანაში.

იტალიური მონეტებიდან აღსანიშნავია განძის შედგენილობის ვენეციის რესპუბლიკის დოჟის პასკუალე ჩიკონიას უთარიღო დუკატო.

ენვერ გოგუაძე

გამოფენა ოჯახების მხარდაჭერის მიზნით

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა და მასთან არსებულმა „გენდერული თანასწორობის სამოქალაქო კლუბმა“ ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრის“ პროექტის ფარგლებში „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით“ გამოაცხადა ნახატების კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა 7-დან 18 წლამდე მოზარდებმა. კონკურსის ფარგლებში გაიმართა გამოფენა, სადაც სპეციალური ჟიურის მიერ შერჩეული იქნა 12 ნამუშევარი, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. მათი ნამუშევრები განთავსდება 2018 წლის სამაგიდო კალენდარზე.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (**SWIC**)“ ფარგლებში და ახორციელებს „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: ჰილფსვერკ ავსტრია (**HWA**), სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია(**AASW)**, აზერბაიჯანის სოციალური მუშაობის საზოგადოებრივი კავშირი (**ASWPU**) და მოლდოვის რესპუბლიკის ექთნების ასოციაცია ((**NARM**). პროექტის ადგილობრივი პარტნიორებია ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

უფასო განცხადება

90 ბეჭდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საჭიანი განცხადების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ – ბოლო წარმოდგენები

როგორც გაზეთის წინა ნომრებიდან იცით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში წარმატებით ხორციელდებოდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდური განყოფილების პროექტი „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ (პროექტის ხელმძღვანელი ნაილი გრძელიძე). დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ანოტაციებს ბოლო წარმოდგენებიდან.

გაღმა დვაბზუ რეალობასა და ზღაპარში

პროექტის ფარგლებში ქართული ზღაპრების მიხედვით, საინტერესო სცენური სახეები შექმნეს გაღმა დვაბზუს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. ნორჩმა „მსახიობებმა“ მათი ასაკისთვის დამახასიათებელი ხალისითა და ტემპერამენტით განვლეს მთელი სპექტაკლი და ნამდვილად ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება და ჟიური. სხარტი აზროვნება, გარდასახვის კარგი უნარი, მუსიკალობა, ქორეოგრაფიული დახვეწილობა - აი, რით უნდა გამოირჩეს ამ ბაღის აღსაზრდელთა წარმოდგენა, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ მის განმახორციელებლებს.

მოკლედ, დვაბზუ ყველგან ძლიერია - გაღმითაც და გამოღმითაც, რეალობაშიც და ზღაპარშიც.

გაიცანით და დაიმახსოვრეთ ეს პატარები: **ლიზი ხანთაძე, სალომე ძირკვაძე, დიანა ვანაძე, მარი ქათამაძე, მელანო ქათამაძე, მამუკა გორგაძე, დიმა გელაძე, ანუკი გორგაძე, დიმა რომინაძე, გიორგი ანთაძე, დათო გიორგაძე, ზურიკო ნაკაიძე, რატი ანთაძე.**

ბაღის მენეჯერი – **თეონა თენიეშვილი,** აღმზრდელები – **თეა დოლიძე, ხათუნა ჯიბლაძე,** მუსიკის მასწავლებელი – **მაია ღლონტი.**

ლიხაურის საბავშვო ბაღის ღონისძიების ამსახველი მასალის ბოლოს წერტილი კი არა, უსასრულობის ნიშანი უნდა დაიწეროს

აკადემიურობით გამორჩეული ლიხაურის საბავშვო ბაღი ტრადიციას არ ღალატობს და ჩვეული შემართებით მონაწილეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ყველა პროექტში.

„ნახევარწიწილა“ წიგნშიც წაგვიკითხავს და სცენაზეც გვინახავს, მაგრამ ლიხაურის საბავშვო ბაღის შესრულებით, მაინც სულ სხვა აღმოჩნდა! თვალს ადევნებ და არ გინდა დამთავრდეს, უსმენ და გინდა კვლავ გაიგონო, არ გინდა დაშორდე ამ უნიჭიერეს ბავშვებს, გსურს, სხვებიც ამ სიმაღლეზე იყვნენ. მთავრდება წარმოდგენა და რჩები გაოცებული, აღტაცებული. ასეთ შემთხვევაში მასალის ბოლო წინადადების დასასრულს წერტილი კი არა, ალბათ. უსასრულობის ნიშანი უნდა დაიწეროს.

რატომღაც მხოლოდ წამყვანებისა (**ელენე მამინაშვილი, გიორგი ქავჯარაძე**) და ნახევარწიწილას განმასხიერებლის (**გიორგი სალუქვაძე**) გვარები ჩავინიშნეთ, თუმცა, ვფიქრობთ, სურათზე აღბეჭდილი სხვა აღსაზრდელების გამოცნობაც არ გაგიჭირდებათ.

საბავშვო ბაღის მენეჯერი – **ნათია გობრონიძე,** ჯგუფის აღმზრდელები – **ლელა სალუქვაძე, გურანდა ბერძენიშვილი,** მუსიკის მასწავლებელი – **ქეთევან სალუქვაძე,** აღმზრდელის თანაშემწე – **ნათია ცერცვაძე.**

წვერმაღალელმა პატარებმა დაამტკიცეს, რომ „კომბლეს“ ორზე მეტი ცხვარი ჰყავდა

წვერმაღალას საბავშო ბაღის აღსაზრდელებმა საკონკურსოდ ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“ შეარჩიეს და არჩევანში არც შემცდარან, უნაკლო წარმოდგენა გვიჩვენეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განათლების ექს-მინისტრისგან განსხვავებით დაამტკიცეს, რომ „კომბლეს“ ორზე მეტი ცხვარი ჰყავდა.

გაიცანით წვერმაღალელი პატარები: **ნათია ქალიაშვილი** – მთხრობელი, **ზაურ კვინიკაძე** – კომბლე, **გიორგი ზუბაშვილი** – ცხვარი, **ლევან ბერიძე** – ცხვარი, **ანდრია ჯიბლაძე** – ცხვარი, **მთე მოდებაძე** – ცხვარი, **დემეტრე ხურციძე** – ცხვარი, **ლუკა ჩიტაძე** – მგელი, **კარლო ქისტაური** – დათვი, **ლიანა ქისტაური** – მელია, **ქრისტინე ხუსკიძე** – კურდღელი, **ლიზი კვინიკაძე** – ყვავილი, **ნუკა გუჯაბიძე** – ჰეპელა, **ანასტასია ცხვარაძე** - ჰეპელა, **ნიკოლოზ ვარშანიძე** – ჩიტი, ანი ჩხიტვნიძე – ჩიტი.

ბაღის მენეჯერი – **ირმა ცინცაძე,** აღმზრდელი მასწავლებელი – **სვეტლანა ვატტერ-ტულუში,** II ცვლის მასწავლებელი – **ნათია ალავიძე,** მუსიკის მასწავლებელი – **ლია მალაზონია.**

შრომის №2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა გაამართლეს იმედები

კონკურსს მრავალმხრივ საინტერესო წარმოდგენით თავიანთი ლაზათი შესძინეს და პეწი შემატეს სოფელ შრომის №2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. ზღაპრის გმირთა განსახიერებით მიღებული ემოციები, ალბათ, დიდხანს არ გაუნელდებათ პატარებს, რომელთაც აქ მიღებული განცდა კეთილ მეგზურად გაჰყვება იმ დიდ სცენაზე, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. შრომელმა ბავშვებმა გაამართლეს მშობლების, აღმზრდელებისა და გულშემატკივრების იმედები

არწივი – **გიორგი ქარცივაძე,** ბულბული – **თემურ ხომერიკი,** კოდალა – **ნოდარ იმნაიშვილი,** მტრედი – **ჯაბა ზოიძე,** წითელქუდა – **ნანიკო ევგენიძე,** მგელი – **ცოტნე ცირდავა,** პეპი – **ნინო თოიძე,** ფიფქია – **ბარბარე კარაგეზიდი,** წუნა – **ნინო თოიძე,** წრუწუნა – **გიორგი ქარცივაძე,** მელია – **ნიკა მალაზონია,** ქათამი – **მარი გურჯიძე,** მამალი – **გიორგი მელქონიანი,** პინოქიო – **საბა კაპანაძე, ცოტნე ცირდავა, გიორგი ხიმშიაშვილი, ნოდარ იმნაიშვილი,** ყურცქვიტა, ბაჭია – **მარი ბოლქვაძე,** წრუწუნა – **გიორგი კირკიტაძე.**

ბაღის მენეჯერი – **ია ბაბილოძე,** აღმზრდელი – **თამარ ხომერიკი, სოფიკო კვაჭანტირაძე,** მუსიკის პედაგოგი – **ნინო შევარდნაძე.**

სოფელ ოზურგეთში ჩხიკვები დაქორწინდნენ

სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღში დიდი ზეიმი შედგა, ჩხიკვები – ზაქარა და ქეთევანი დაქორწინდნენ.

სასკოლო მზაობის ჯგუფმა „ყოჩაღები“ მართლაც იყოჩაღეს და საკონკურსოდ „ჩხიკვთა ქორწილის“ მთელი თავგადასავალი დიდი მხატვრულობითა და იმპროვიზაციით წარმოგვიდგინეს. ეს იყო კომპოზიციურად, ქორეოგრაფიულად და მუსიკალურად სრულყოფილი წარმოდგენა, რომლის ხორცშესხმაში, აღსაზრდელებთან ერთად, თავიანთი თართულობით, გარკვეული წვლილი შეიტანეს აღმზრდელებმა და მშობლებმა.

ბულბული – **თამარ ტიკარაძე,** ჩხიკვი – **ნიკოლოზ სვანიძე,** ჩხიკვი – **მინდია გოგოტიშვილი,** ყვავი – **თენგო ლომაძე,** მთხრობელი – **ელენე კვერღელიძე,** თომა – **რეზი ტულუში,** არწივი – **ერეკლე როყვა,** ჩხიკვი – **საბა ბერიძე,** ჩხიკვი – **ელენე კარპოვი,** ქეთევანი – **მარი გოგრიჭიანი,** ჩხიკვი –**ბარბარე პატარიძე,** კოდალა – **გია თავდუმაძე,** ჩხიკვი – **ბარბარე გოგოტიშვილი,** წრუწუნა –**გაბრიელ ბილიხოძე.**

სასავშვო ბაღის მენეჯერი – **ლელა მალაზონია;** აღმზრდელები – **მადონა კვერღელიძე, ანა ქარჩილაძე;** დამხმარე აღმზრდელი – **ნაზი გაბრიჩიძე.**

კომბლე თავისი კომბლით მგელს ვაკიჯვარშიც გაუსწორდა

როგორც მოსალოდნელი იყო, „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყოს“ კონკურსში ყველაზე პოპულარული ზღაპარი „კომბლე“ აღმოჩნდა.

ვაკივკარის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ხსენებული ზღაპრის ნამდვილად საინტერესო სახეები შექმნეს, რითაც ჟიურის შექება და მოწონება დაიმსახურეს, დამსწრეებიდან და გულშემატკივრებიდანაც დამსახურებული აპლოდისმენტები მიიღეს. მოკლედ კომბლემ, თავისი კომბლით, მგელს ვაკივკარშიც გაუსწორდა და მზადყოფნა გამოთქვა, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ხელით გამოთლილი ახალი კომბლებით სხვა სოფლებში გადავიდეს.

კომბლე – **ამიკო სიამაშვილი,** ცხვრები – **ამიკო თავართქილაძე, მერაბ ხომერიკი,** მელია – **ნინუკა მდინარაძე,** მგელი – **დემეტრე სოსელია,** დათვი – **ბესო მელიქაძე,** ბავშვები – **ანასტასია თურქაძე, საბა თურქაძე.**

ბაღის მენეჯერი – **სოფო რუსიეშვილი,** II ცვლის მასწავლებელი – **თამარ ინწკირველი,** მუსიკის მასწავლებელი – **ინგა სიამაშვილი.**

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +7+14	მცირე წვიმა +4+10	წვიმა +3+7	მცირე წვიმა 0+6	ღრუბელი 0+1	მზე ღრუბელი +3+8	მცირე წვიმა +5+9
18 დეკემბერი ორშაბათი	19 დეკემბერი სამშაბათი	20 დეკემბერი ოთხშაბათი	21 დეკემბერი ხუთშაბათი	22 დეკემბერი პარასკევი	23 დეკემბერი შაბათი	24 დეკემბერი კვირა